საგრანტო ხელშეკრულება

საქართველოში იაპონიის საელჩოსა

და

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის

ხელშეკრულების საგანი:

ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ (შემდგომში „მიმღები“) პროექტის „ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში“ (შემდგომში „პროექტი“) განხორციელების ხელშესაწყობად, საქართველოში იაპონიის საელჩო (შემდგომში „დონორი“) 2022 წლის 31 მარტამდე მიმღებისთვის გასცემს გრანტს ოთხმოცდათერთმეტი ათას ექვსას ოცდათორმეტი (91,632) აშშ დოლარის ოდენობით ან მის ექვივალენტს ადგილობრივ ვალუტაში გრანტის გაცემის თარიღის კურსით (დეტალები იხილეთ დანართში).

ზემოთ აღნიშნული გრანტის დონორისგან მისაღებად, მიმღები თანხმდება:

ა. მიაწოდოს დონორს გრანტის მიღების დამადასტურებელი ოფიციალური მოწმობა;

ბ. დონორის მოთხოვნისამებრ, მიაწოდოს დონორს პროექტის შესაბამისი ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა საქონლისა და მომსახურეობის შესყიდვების კონტრაქტები;

გ. გამოიყენოს გრანტი ექსკლუზიურად პროექტის განხორციელებისთვის საჭირო და შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურების შესაძენად ისე, როგორც ეს აღწერილია ამ კონტრაქტის დანართში; დონორისგან თანხმობის მიღების გარეშე, არ გამოიყენოს შეძენილი პროდუქტები ან სერვისები სხვა მიზნებისთვის გარდა პროექტის განხორციელებისა;

დ. მიაწოდოს დონორს პროექტის მიმდინარეობის შესახებ შემდეგი ანგარიშები:

(1) ერთი (1) შუალედური ანგარიში ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ექვს თვეში;

(2) ერთი (1) პროექტის დასრულების ანგარიში (მათ შორის, დამოუკიდებელი აუდიტის/აუდიტორული კომპანიის აუდიტის ანგარიში) პროექტის დასრულების შემდეგ (ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს მიღწეული შედეგები პროექტით გათვალისწინებულ მიზნებთან მიმართებაში. ანგარიშები უნდა მოიცავდეს გრანტის ათვისებისა და განკარგვის მკაფიო ფინანსური აღრიცვის ანგარიშს);

(3) დონორის მოთხოვნისამებრ და დონორის მითითებებით, სხვა ნებისმიერი სახის პროექტთან დაკავშირებული ანგარიში;

ე. დაასრულოს პროექტი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში;

ვ. გაიაროს კონსულტაციები და იმოქმედოს დონორის ინსტრუქციების თანახმად იმ შემთხვევაში, როცა მიმღებს სურს:

(1) შეცვალოს აპლიკაციაში გაწერილი გრანტის განკარგვის პიროებები

(2) შეცვალოს პროექტის შინაარსი

(3) შეწყვიტოს პროექტის განხორციელება

(4) გადაავადოს პროექტის დასრულების თარიღი.

ზ. შეინახოს გრანტის განკარგვის დამადასტურებელი ფინანსური აღრიცხვის დოკუმენტაცია პროექტის დასრულებიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

თ. გაიაროს კონსულტაციები დონორთან ყველა იმ საკითხზე, რომელიც გავლენას ახდეს პროექტის განხორციელებაზე;

ი. გაითვალისწინოს, რომ დონორი უფლებას იტოვებს, მოითხოვოს გრანტის ნაწილობირივი ან სრული დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ:

(1) გრანტის სრული ან ნაწილი თანხა აუთვისებელია პროექტის შეწყვეტისას;

(2) მიმღები არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

კ. პროექტი ექვემდებარება დონორისა და მიმღების მიერ შეთანხმებით განსაზღვრულ კანონმდებლობით მართვას და ინტერპრეტაციას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს ეთანხმება:

დონორი: **საქართველოში იაპონიის საელჩო**
სახელი: იმამურა აკირა
ტიტული: იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

ხელმოწერა: _____
თარიღი:

გრანტის მიმღები : ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
სახელი: ავთანდილ თალაკვაძე
ტიტული: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერა:
თარიღი: _____

დანართი

პროექტის სახელმწოდება: ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში
დონორი: საქართველოში იაპონიის საელჩო
მიმღები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი:
გრანტის სრული თანხა: ოთხმოცდათერთმეტი ათას ექვსას ოცდათორმეტი (91,632) აშშ დოლარის აშშ დოლარამდე

დონორის მიერ გაცემული გრანტის მიღებით, მიმღები თანხმდება, რომ გრანტს გამოიყენებს ქვემოთ მოცემული პროდუქტების და/ან მომსახურების შესაძენად:

პროდუქტი/მომსახურება	**რაოდენობა**
რეაბილიტაცია	1
გარე აუდიტი	1